

UDC 725.5

SCOPUS CODE 1201

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-2-15-18>

პანდემიების კავშირი არქიტექტურასთან

ანა გეგშიძე

სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ტექნოლოგიებისა და საშენი მასალების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68^ბ

E-mail: anka.gegeshidze1996@gmail.com

რეცენზენტები:

მ. მაისურაძე, სტუ-ის არქიტექტურის ფაკულტეტის პროფესორი

m.maisuradze@gtu.ge

ზ. ქარუმიძე, სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორი

z.karumidze@gtu.ge

ანოტაცია. პანდემიებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა არქიტექტურაზე, ცვლილებები განაპირობა ქალაქგეგმარებაში, დიზაინში სანიტარიულ რეფორმებს ჩაუყარა საფუძველი. არქიტექტურა ბევრჯერ დამდგარა სხვადასხვა გამოწვევის წინაშე. მაგალითად, შავი ჭირის ეპიდემიამ გამოიწვია ურბანული დაგეგმარების რეფორმები: ფართო ქუჩები, გაუმჯობესებული მშენებლობის ხარისხი, რათა დაავადებების გავრცელება შემცირებულიყო. ქოლერის გავრცელებამ კი არქიტექტორები დააფიქრა სანიტარიულ ნორმებზე, მზის სხივის მნიშვნელობაზე, ვენტილაციაზე. პანდემიებმა ასევე ხელი შეუწყო სპეციალიზებული სტრუქტურების შექმნას, როგორცაა სანატორიუმები და საავადმყოფოები.

მთლიანობაში პანდემიებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არქიტექტურული ისტორიის ჩამოყალიბებაში.

საკვანძო სიტყვები: პანდემია; სანატორიუმი; სანიტარიული ნორმები; ურბანული განვითარება.

შესავალი

ისტორიის მსვლელობაში ეპიდემიებმა არაერთი ცვლილება გამოიწვია ურბანული სივრცის ფორმირებასას, საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივი შენობების დაგეგმარებაში.

ახალი (კოვიდ-19) პანდემია ბოლო ათწლეულის ყველაზე სერიოზულ გამოწვევად იქცა, რამაც ბევრ საკითხზე შეგვაცვლევინა ყოველდღიური მიდგომა და მეტად დაგვაფიქრა არსებულ რეალობაზე.

ახალმა ვირუსმა თანამედროვე ურბანიზაციისადმი მიდგომა შეცვალა. პოსტ-პანდემიური ეპოქა, თავისი სოციალური დისტანციით, სანიტარიისა და ჰიგიენის გაზრდილი ღირებულებებით, კითხვის ქვეშ აყენებს ბინების, საცხოვრებელი კორპუსების

ურბანული, საზოგადოებრივი სივრცეების ტრადიციული ფორმით მშენებლობას, გაიზარდა ჯანმრთელობის პრიორიტეტი. პანდემია და არქიტექტურა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. პანდემიების დროს არქიტექტურა მკვეთრად იცვლებოდა.

ისტორიულ მაგალითებზე დაყრდნობით ნათლად ჩანს არქიტექტურის მნიშვნელობა სხვადასხვა პანდემიის პერიოდში (შავი ჭირი, ქოლერა, ტუბერკულოზი და ა.შ).

ძირითადი ნაწილი

XIV–XVIII საუკუნეებში შავი ჭირი პერიოდულად ვრცელდებოდა სხვადასხვა ქალაქში.

XV საუკუნეში იტალიის ქალაქებში „ლაზარეტები“ აშენდა. ლაზარეთი ჭირით დაავადებულთა თავშესაფარი იყო და ადამიანების იზოლაციისთვის გამოიყენებოდა.

მილანის ლაზარეთი 16 ათას ადამიანს იტევდა. სნეულები ვიწრო ოთახებში იყვნენ მოთავსებული.

შავმა ჭირმა სახლების ხარისხი გააუმჯობესა. 1652 წელს ხის სახლები აგურის სახლებმა ჩაანაცვლა. თვლიდნენ, რომ ხის სახლების ქუჩებზე გადმოშვებული აივნები ჰაერის მოძრაობას აფერხებდა და ბაქტერიების გავრცელება-დაგროვებას უწყობდა ხელს.

მე-20 საუკუნეში ტუბერკულოზის ტალღამ მთლიანი ევროპა მოიცვა. მოდერნიზმა არქიტექტორებმა ლე კორბუზიემ და ალვარ აალტომ შექმნეს ახალი ტიპის არქიტექტურა: სინათლით და ჰაერით გაჟღენთილი სახლები, სადაც შესაძლებელი გახდა უკეთესი ჰიგიენური ცხოვრების წესის წარმართვა. შეძლებული ადამიანები კი სამკურნალოდ სანატორიუმებს მიმართავდნენ.

Adirondack cottage sanatorium – პირველი სანატორიუმი ამერიკაში ტუბერკულოზით დაავადებულებისთვის, რომელიც 1885 წელს აშენდა. თავდაპირველად სანატორიუმები განთავსებული იყო მთის კოტეჯებში, მაგრამ თანდათანობით ისინი გადაიქცა ცალკეულ არქიტექტურულ ნიმუშებად. შენობები იქმნებოდა ყველანაირი ჰიგიენური ნორმის გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობდა გამოჯანმრთელებას და ზღუდავდა დაავადების გავრცელებას. სწორედ ამგვარი სანატორიუმების დიზაინმა შეუწყო ხელი მოდერნიზებული არქიტექტურის განვითარებას. მოდერნიზტ არქიტექტორებს – ალვარ აალტოს, ლე კორბუზიეს და სხვებს სურდათ შეექმნათ არქიტექტურის ახალი ფორმა, რომელსაც უნდა მოეხდინა ტუბერკულოზის პრევენცია და გადაეწყვიტა სოციალური პრობლემები: მასების ჯანსაღი საცხოვრებლის ხელმისაწვდომობა და ცხოვრების დონის ამაღლება.

1932 წელს ალვარ აალტომ დააპროექტა სანატორიუმი PAIMIO ფინეთში, რომელიც მოდერნიზმის იდეებსა და ჯანდაცვის მიზნებს აერთიანებდა. მისი დამახასიათებელი ნიშნები იყო აივნები და დიდი ფანჯრები. ტუბერკულოზის სანატორიუმის მშენებლობამ ფინეთის ქალაქ პაიმიოში ორ წელიწადს გასტანა და ალვარ აალტოს მსოფლიო აღიარება მოუტანა. შენობა ახალი ფუნქციონალიზმის მაგალითია და ძირითადი სამშენებლო მასალა ბეტონია. აალტომ ყველა დეტალი თავად შექმნა. მას ფერების სამკურნალო მნიშვნელობის სჯეროდა და ინტერიერის ფერთა გამა მხატვარ ეინო კაურიასთან ერთად შეიმუშავა, რომელშიც ღია ტონები სჭარბობდა: ყვითელი იატაკი და კიბის უჯრედი, ფერადი კედლები, მუქი ფერის ჭერი პაციენტთა ოთახ-

ხელოვნებაში, აივნებზე სტაფილოსფერი მოაჯირები, საერთო სივრცეებში კი პაციენტებს ეინო კაურიას ნახატები ხვდებოდათ. ყველა ზედაპირი (ლინოლეუმი, კერამიკული ფილები, რეზინის იატაკი) ადვილად გასაწმენდაა. ააღტომ გულდასმით შეისწავლა ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთა საჭიროებები და რადგან ფინეთი მკაცრი კლიმატური პირობებით გამოირჩევა, კარგად იცოდა, რომ პაციენტები გარეთ ცოტა დროს დაჰყოფდნენ და მოსასვენებელი სივრცეები სანატორიუმის შიგნით, საერთო სათავსებში მოაწყო. ამ დაავადებისთვის პერიოდულად ოფლიანობა იყო დამახასიათებელი, ამიტომ სკამის ზურგი 110 გრადუსის დახრით შეიქმნა, რითაც ხელი შეუწყვეს დაავადებულთა სუნთქვას და საზურგე ბუნებრივად ნიავებოდა. სკამის მრუდი სამკლავური კი ფიზიკურად დასუსტებულ პაციენტებს წამოდგომაში ეხმარებოდა. ძირითადი მასალა არყის ხის ფანერი იყო, რაც მისი გულდასმით გაწმენდის საშუალებას იძლეოდა.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ევროპაში ქოლერის ეპიდემია მძვინვარებდა, ყურადღება იმ დაავადებებზე მიიპყრო, რომლებიც წყლით ვრცელდებოდა. საცხოვრებელ გარემოში ამჯერად განსაკუთრებული ყურადღება ანტისანიტარიას უფრო მიექცა, ვიდრე ცუდ ინსოლაციასა და მჭიდრო დასახლებებს.

ინდუსტრიულ დროში თანამედროვე წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების შექმნის მიზეზი იმ პათოგენებთან ბრძოლა იყო, რომლებიც ქოლერასა და ტიფს იწვევდა. ამ ფაქტმა განსაკუთრებული ყურადღება 1850-იანი წლების ინგლისში მიიპყრო, როდესაც ექიმმა დაამტკიცა, რომ სასმელი

წყალი ხდებოდა სიკვდილის მიზეზი ქოლერის ეპიდემიის დროს.

ამ ყველაფერმა საბოლოოდ სანიტარიული რეფორმისკენ გახსნა გზა და შეიქმნა სასმელად ვარგისი წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემა. არქიტექტორებს სჯერათ, რომ სწორედ ამ მოძრაობამ, სხვა მიზეზებთან ერთად, გავლენა იქონია ქალაქგეგმარების სწორხაზოვანი განვითარების სქემაზე. განიერი ქუჩების ქსელი საჭირო იყო მიწისქვეშა მიწების სისტემის მოსაწყობად.

ფრედერიკი ლოუ ოლმსთედი, რომელიც აშშ-ის სამოქალაქო ომის დროს სანიტარიული ოფიცერი იყო, სახალხო ჯანმრთელობის მნიშვნელობის იდეით შთაგონებული, სახელმწიფოს მოუწოდებდა შეექმნა ცენტრალური პარკი, რომელიც “ქალაქის ფილტვები” იქნებოდა. მისმა იდეებმა, რომელიც სამედიცინო ცოდნას ემყარებოდა, დიდი გავლენა მოახდინა რივერსაიდის, ილინოისის “გარეუბნის ბაღის” შექმნაზე. ასეთი დაგეგმარება კი თავის სიმწვანის სიმრავლით ქალაქის ჯანმრთელ ალტერნატივას ქმნიდა.

ინვეციური დაავადებები ურბანული გარემოს განახლების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა იყო. თანამედროვე არქიტექტორებმა დიზაინი განიხილეს, როგორც წამალი გადატვირთული ქალაქებისთვის, სადაც ტუბერკულოზი, ტიფი, ესპანური გრიპი საფუძვლად ედო ურბანულ დაგეგმარებას, ნავის გაწმენდას, მრავალბინიანი კორპუსების რეფორმასა და ნარჩენების მართვას.

დასკვნა

ამ მოვლენებმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ურბანული დაგეგმარების, შენობების დიზაინისა

და სპეციალიზებული ჯანდაცვის ობიექტების გან- არქიტექტურის ევოლუცია პანდემიების საპასუ- ვითარებაში. არქიტექტორებმა საზოგადოებრივ ხოდ ხაზს უსვამდა დიზაინის მნიშვნელოვან როლს ჯანდაცვის კრიზისებს ინოვაციებითა და შორსმჭვ- საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და კეთილ- რეტელობით უპასუხეს. ისტორიის განმავლობაში დღეობის ხელშეწყობაში.

ლიტერატურა

1. Deepak, R., Chaudhery Mustansar, H. (Ed). (2023). *The Environmental impact of Covid-19*. Wiley & Sons.
2. Brownell, B. (2023). *The Pandemic Effect: Ninety Experts on Immunizing the Built Environment*. Princeton Architectural Press.

UDC 725.5

SCOPUS CODE 1201

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-2-15-18>

The Connection of Pandemics with Architecture

Anna Gegeshidze

Department of Civil and Industrial Construction Technologies and Building Materials,
Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68^ბ, M. Kostava str.
E-mail: anka.gegeshidze1996@gmail.com

Reviewers:

M. Maisuradze, Professor, Faculty of Architecture, GTU

E-mail: m.maisuradze@gtu.ge

Z. Karumidze, Professor, Faculty of Construction, GTU

E-mail: z.karumidze@gtu.ge

Abstract. Pandemics had a significant impact on architecture. Pandemics influenced changes in urban planning and design, laid the foundation for sanitary reforms. Architecture has faced numerous challenges over time. For example, epidemics like the Black Death prompted urban planning reforms such as wider streets and higher building quality to reduce disease spread. The spread of cholera made architects consider sanitary standards, the importance of sunlight, and ventilation. Pandemics also fueled the development of specialized structures like sanatoriums and hospitals.

Keywords: pandemic; sanatorium; sanitary norms; urban development.

განხილვის თარიღი 23.02.2024

შემოსვლის თარიღი 28.08.2024

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.06.2024